საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-438

08/06/2018

ქ. თბილისი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ინგირის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „ომექსის“ ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ორი 25მ^3 მოცულობის ნავთობპროდუქტების მიწისქვეშა საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ომექსის“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ორი 25 მ^3 მოცულობის ნავთობპროდუქტების მიწისქვეშა რეზერვუარის მოწყობის პროექტის სკრინინგის განცხადება.

საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფ. ინგირის მიმდებარე ტერიტორიაზე (ს.კ 43.18.45.015) შპს „ომექსის“ არსებულ ავტოგასამართ სადგურში. ავტოგასამართი სადგური უახლოესი მოსახლისაგან დაშორებულია 100 მეტრი მანძილით, ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზიდან 25 მეტრით.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე არსებულ ავტოგასამართ სადგურში გათვალისწინებულია თხევადი საწვავის მიღება, შენახვა და რეალიზაციის გაზრდა საწვავის - ბენზინის ორი მიწისქვეშა საცავის დამატებით და ორი არსებული გასამართი სვეტის რეკონსტრუქციით.

ავტოგასამართ სადგურში ამჟამად ფუნქციონირებს ერთი 25.0 მ^3 მოცულობის და სამი 30.0 მ^3 მოცულობის რეზერვუარები, დამატებით დაგეგმილია ორი 25.0 მ^3 მოცულობის ბენზინის მიწისქვეშა რეზერვუარის მოწყობა. სულ რეზერვუარების საერთო მოცულობა იქნება 165 მ^3.

ტერიტორიაზე არ გვხვდება რაიმე სახის მცენარეული საფარი, რაც გამორიცხავს სამუშაოების პროცესში და შემდგომ ეტაპზე, მცენარეულ საფარზე რაიმე სახის ზემოქმედებას. სამუშაოები არ ითვალისწინებს ბუნებრივი რესურსების გამოყენებას.

ავტოგასამართი სადგურის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგებისათვის წყალაღება მოხდება საკუთარი ჭაბურღილიდან. წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყlების ჩაშვება მოხდება საასენიზაციო ორმოში.

ავტოგასამართი სვეტის ირგვლივ მოწყობილი მოედნების ნარეცხი და სანიაღვრე წყლები გროვდება სალექარში, რომელიც გადადის ნავთობდამჭერ ორმოში და გაწმენდილი წყალი ჩაედინება ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო მაგისტრალის გასწვრივ მოწყობილ არხში.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების - ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადების გაფრქვევა. ასევე მოსალოდნელია ხმაურის გავრცელება, რომელიც გამოწვეული იქნება ავტოტრანსპორტის მოძრაობით.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წარმოქმნილი ნავთობპროდუქტების ნარჩენები, რომლის რაოდენობა შეადგენს წელიწადში საშუალოდ 8-10 ლიტრს, შემდგომი გადამუშავების მიზნით გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციას. საყოფაცხოვრებო ნარჩენები განთავსდება კონტეინერებში, რომლის გატანა მოხდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

აღნიშნული საქმიანობა დაკავშირებულია ავარიის/კატასტროფის რისკთან. საქმიანობა არ არის დაგეგმილი ჭარბტენიან ტერიტორიასთან, შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში ტრანსსასაზღვრო და კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ასევე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 №1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „ომექსის“ ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ორი 25მ^3 მოცულობის მიწისქვეშა საცავის მოწყობის პროექტი **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ომექსი“ ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ომექსის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ომექსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი